ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5217580

ნომერი: AR1793312

თარიღი : 08.12.2020

გაცემის თარიღი : 08.12.2020

გაცნობის თარიღი : 08.12.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , არსებული ავჭალა 1-ში , შესასვლელი გზის მიმდებარედ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯემალ ლელაშვილი პ/ნ 01029004700
- ქ.თბილისი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 07 დეკემბრის №5215609 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 08

დეკემბერს №AR1793312 განცხადებით მომართა ჯემალ ლელაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 07 დეკემბრის №5215609 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 26 აპრილის №643049 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისში, დასახლება მუხიანი, არსებული ავჭალა 1-ში, შესასვლელი გზის მიმდებარედ არსებულ, №01.11.17.004.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2013 წლის 16 ივლისის №794093 და 2015 წლის 16 აპრილის №1839593 ბრძანებებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ფუნქციურ ზონის და საკადასტრო გეგმის ნაწილში.
სამსახურის 2020 წლის 04 ნოემბრის №5166535 ბრძანებით, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.17.004.025) შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 07 დეკემბრის №5215609 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 07 დეკემბრიდან 2021 წლის 07 მარტის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2020 წლის 07 დეკემბრის №5215609 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ნომენკლატურის ველში „მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა“-ს ნაცვლად დაფიქსირებულია „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ვინაიდან, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცებულია მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) მშენებლობის მიზნით, ასევე, შეთანხმებულია მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, მათ საფუძველზე გაცემული მშენებლობის ნებართვაშიც დაფიქსირებულ უნდა იქნას „მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა“.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტებში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 07 დეკემბრის №5215609 ბრძანებაში და ნომენკლატურის ველში „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“-ს ნაცვლად დაფიქსირდეს: „მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 07 დეკემბრის №5215609 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 07 დეკემბრის №5215609 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.